პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 52 (10446) | პარასკევი, 2 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

# ახალი დიადი ამოცანები

Საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ დაამთავრა მუშაობა, საბჭოთა ხალხს დაუსახა ახალი დიადი ამოცანები, ხელთ მისცა კომუნისტური მშენებლობის გაშლილი საბრძოლო პროგრამა. ეს პროგრამაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ყრილობის მიერ მიღებულ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის უძლეველობას, უზრუნველყოფს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში შემდგომ წინსვლას, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების სრულ გამარჯვებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა „მთელი სიმტკიცით გაგრძელდეს ბრძოლა მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით ისტორიულად უმოკლეს ვადაში საბჭოთა კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე დაყრდნობით, დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ“.

ყრილობამ ამოცანად დაგვისახა მძიმე მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური პროდუქტებისა და საშენი მასალების წარმოების სწრაფი ზრდის მიღწევა, ამასთან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება. მეექვსე ხუთწლედში წარმოების საშუალებათა წარმოება უნდა გადიდდეს დაახლოებით 70 პროცენტით, მოხმარების საგნების წარმოება დაახლოებით 60 პროცენტით, ხოლო მთელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს 65 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ 1960 წელს ჩვენი მრეწველობა მოგვცემს 3-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე 1950 წელს და 5,3-ჯერ მეტს, ვიდრე 1940 წელს.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფა. ყრილობის დირექტივებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდება გათვალისწინებულია დაახლოებით 70 პროცენტით. 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა უნდა შეადგინოს 11 მილიარდი ფუთი. გათვალისწინებულია ტექნიკური კულტურების, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გამოშვების მკვეთრი გადიდება.

ამ დიდი ამოცანების დასახვასთან ერთად ყრილობამ მიგვითითა იმ საშუალებებზე, რომელთა უნარიანი გამოყენებით ჩვენი ხალხი პირნათლად და გადაჭარბებით გაანაღდებს მეექვსე ხუთწლიან გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ეს საშუალებებია განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების სრულყოფა, მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფართოდ განხორციელება და ყოველივე ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის მიღწევა.

მეექვსე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უნდა გადიდდეს 50 პროცენტით, ხოლო მშენებლობაში სულ ცოტა 52 პროცენტით. ამასთან სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირდეს სულ ცოტა 17 პროცენტით, ამდენადვე უნდა შემცირდეს გადაზიდვათა თვითღირებულება და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვის ხარჯები. 7 პროცენტით უნდა შემცირდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და 20 პროცენტით — საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა, როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, ისე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში უმაგალითო შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია. საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტის, ახალმშენებლობათა კოლექტივები, კოლმეურნეები, სახალხო ინტელიგენცია შეუპოვარი თავდადებით განაგრძობენ ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

უკვე მოდის ცნობები პირველ წარმატებათა შესახებ, ყრილობის მუშაობის აღსანიშნავად საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის გაჩაღების შესახებ. ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებმაც მეექვსე ხუთწლედში მადნის მოპოვება 1,5-ჯერ უნდა გაზარდონ, იკისრეს მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში ამოიღონ და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ მრავალი ათეული ათასი ტონა მარგანეცი. ამ დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში მათ უკვე მოიპოვეს პირველი წარმატება — 25 თებერვლისათვის შეასრულეს მადნის ამოღების ორი თვის გეგმა.

წარმატებით მუშაობენ ტყიბულელი მეშახტეებიც, რომლებიც თანდათან აძლიერებენ მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლის ტემპს. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელმაც 27 თებერვლისათვის გაანაღდა ქვანახშირის ამოღების თებერვლის დავალება.

თავდადებით შრომობენ ჩვენი ენერგეტიკოსი მშენებლები. მათი ამოცანაა მეექვსე ხუთწლედში ახალი ელექტროსადგურების ამუშავებით უზრუნველყონ ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდება 1,8-ჯერ, მიაღწიონ იმას, რომ ენერგეტიკული მშენებლობის ტემპმა საგრძნობლად გაუსწროს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპს.

ბევრად გააუმჯობესეს მუშაობა ჩვენმა მეტალურგებმა, მანქანათმშენებლებმა, ჩარხმშენებლებმა, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა. მთავარი ახლა ის არის, რომ არ დავუშვათ მუშაობაში აღებული ტემპის შენელება და კიდევ უფრო გავაძლიეროთ იგი, საწარმოთა კოლექტივებს შევუქმნათ ყველა პირობა პარტიის XX ყრილობისათვის მიცემულ დაპირებათა შესასრულებლად, გადიდებული საწარმოო ვალდებულებების გადაჭარბებით გასანაღდებლად.

მთავარი ღონისძიება, რასაც ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, არის სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობის მიღწევა, მისი მართებულად მოწყობა, ამ საქმეში ფორმალიზმის ყოველი ნიშანწყლის აღკვეთა.

ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენს ხალხს უსახავენ ნათელ პერსპექტივებს და უნერგავენ მომავალ დიად გამარჯვებათა ურყევ რწმენას. ეს აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალი დიდი საგმირო საქმეებისათვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

უნარიანად ჩავუდგეთ სათავეში მასების შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, მტკიცედ გავუძღვეთ მათ წინ კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

## კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ბ-ნი ვენსან ორიოლი

29 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ბ-ნი ვენსან ორიოლი. სტუმარს ახლდნენ საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი და სრულუფლებიანი მინისტრი, საელჩოს მრჩეველი ჟ. ლალუა.

კ. ე. ვოროშილოვსა და ბ-ნ ვენსან ორიოლს შორის გაიმართა მეგობრული, თავისუფალი საუბარი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი ბ. ი. ფომინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ი. ა. კოროლევი. (ტასსი).

დეპეშა

## მის აღმატებულებას ბატონ ურხო კ. კეკონენს
### ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ჰელსინკი

იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენ დაიკავეთ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა, გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მილოცვა. გისურვებთ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში ფინელი ხალხის საკეთილდღეოდ და ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის გულწრფელი მეგობრობისა და ნდობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოვთქვა რწმენა, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც მტკიცედ დამყარდა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის პატივცემული თქვენი წინამორბედის აქტიური ხელშეწყობით, კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება როგორც ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, ისე ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

დაე მარად ცოცხლობდეს, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხთა გულწრფელი მეგობრობა.

კ. ე. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი
1956 წლის 29 თებერვალი

დეპეშა

## მის აღმატებულებას ბატონ ი. კ. პაასიკივის

ჰელსინკი

დღეს, როდესაც თქვენ ტოვებთ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს, ნება მიბოძეთ გამოვთქვა თქვენდამი ღრმა პატივისცემის, გულწრფელი მეგობრობის გრძნობები და გისურვოთ ყოველივე საუკეთესო.

როგორც ფინეთის გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, თქვენ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ბევრი რამ გააკეთეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთნდობის, მჭიდრო თანამშრომლობისა და მეგობრობის დამყარებისათვის, რაც შეესაბამება ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნულ ინტერესებს, აგრეთვე ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ გულითადი მეგობრობის ურთიერთობას, რომელიც ჩვენ შორის დამყარდა, კვლავაც შევინარჩუნებთ.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა სულით და გულით გისურვოთ ჯანმრთელობა, სიმხნევე და ბედნიერება.

გულწრფელი პატივისცემით

კ. ე. ვოროშილოვი

მოსკოვი, კრემლი
1956 წლის 29 თებერვალი

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ფამ ვან დონგს

ჰანოი

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო ფამ ვან დონგ, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი მხურვალე მილოცვა თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო. გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალ წელს სიცოცხლესა და შემდგომ წარმატებებს თქვენს კეთილნაყოფიერ მოღვაწეობაში ვიეტნამელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ნ. ბულგანინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი
1956 წლის 29 თებერვალი

დეპეშა

## მის აღმატებულებას მარშალ ნ. ბულგანინს
### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრემიერ-მინისტრს

მოსკოვი

მივიღე თქვენი აღმატებულების მეგობრული წერილი ავღანეთსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერის 35-ე წლისთავის გამო. გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი აღმატებულებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის კეთილი და მეგობრული გრძნობებისათვის. გთხოვთ გადასცეთ თქვენს მთავრობას პირადად ჩემი და ჩემი მთავრობის გულითადი მადლობა.

პირადად ჩემი და ჩემი მთავრობის სახელით თქვენს აღმატებულებას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას გითვლით მილოცვას ავღანეთსა და ჩვენს მეგობარ მეზობელ სახელმწიფოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერის წლისთავის გამო. ეს ხელშეკრულება ორი მეგობარი და მეზობელი სახელმწიფოს მეგობრობის საფუძველია და ხელს უწყობს ამ ორი ქვეყნის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებას. ჩემი სურვილია, რომ ეს გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდეს და, როგორც ჩვენ გვსურს, ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარების საქმეს და საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

გულწრფელად და გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას პირადად თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, და ვუსურვებ აყვავებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

მუჰამედ დაუდი,
ავღანეთის პრემიერ-მინისტრი

ქაბული, 1956 წლის 28 თებერვალი.

# მთელი ძალები მოვახმაროთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას

★ ★ ★ ★

## მეტი და უკეთესი ჩარხები

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ვრცელ ეზოში პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილ მიტინგზე თავი მოიყარა საწარმოს მთელმა კოლექტივმა. ყრილობის მუშაობის შესახებ მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა ქარხნის დირექტორის მოადგილემ რ. ყღენტმა.

დამსწრენი საერთო მოწონებით შეხვდნენ მეცხრე საამქროს მოწინავე ხარატის გ. სულაძის გამოსვლას.

— პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, — თქვა მან, — ნათლად ჩანს ის უდიდესი ზრუნვა, რასაც იჩენს კომუნისტური პარტია მშრომელთა კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება დამოკიდებულია ჩვენზე, მშრომელებზე. მხოლოდ ჩვენი თავდადებული შრომით შეიძლება განხორციელდეს ის უდიდესი სამუშაოები, რაც გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში. ამიტომ ყოველი ჩვენგანის ვალია იმუშაოს უფრო კარგად, ვიდრე მუშაობდა აქამდე. მე ვკისრულობ მოცემული საწარმოო დავალებები სისტემატურად გადაჭარბებით შევასრულო და მიმდინარე წლის გეგმა გავანაღდო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისათვის.

ტრიბუნაზეა მეთექვსმეტე საამქროს უფროსი ი. პოგრებეცკი.

— კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას უთმობს სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას, — ამბობს იგი,— ჩვენი ქარხნის კოლექტივს დავალებული აქვს წელს აითვისოს და გამოუშვას ახალი, მაღალი წარმადობის ხრახნსაჭრელ-სახარატო ჩარხი. ამ დავალებას ჩარხმშენებლები წარმატებით ასრულებენ. ჩვენი საამქროს კოლექტივმა უკვე 108 პროცენტით გაანაღდა თებერვლის გეგმა და გადაწყვეტილი აქვს შემდგომში კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა.

ჩარხმშენებლებმა ერთხმად მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და პირობა დადეს ვადამდე შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებები.

## დიადი სამოქმედო პროგრამა

დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობას. ყრილობის გადაწყვეტილებანი აღგვაფრთოვანებენ ახალი შრომითი მამაცობისათვის, მეექვსე ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. კომუნისტური პარტია, რომელიც ლენინური გზით მიდის, მეექვსე ხუთწლედში ამოცანად ისახავს ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა უდიდესი მოვლენაა საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს. ეს მოხსენებები აშკარად მოწმობენ, თუ რა გიგანტური ნაბიჯით მიდის ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ. პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი ყველა საბჭოთა ადამიანს აძლევენ ნათელ პერსპექტივას და ურყევ რწმენას, რომ გაიმარჯვებს ის დიადი საქმე, რომელსაც ხმარდება უკვდავი ლენინის მიერ შექმნილი ჩვენი სახელოვანი პარტიის მთელი მუშაობა, — გაიმარჯვებს კომუნიზმის საქმე. თვითეული საბჭოთა მოქალაქის ვალია არ დაიშუროს ძალა და ენერგია ამ ნათელი მიზნის წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობა, როგორც ყოველთვის, პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

ყრილობის გადაწყვეტილებებს ჩვენ იმით ვუპასუხებთ, რომ უფრო გავზრდით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობას. 47,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 5.500 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.200 კილოგრამისა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღებთ 3.000 კილოგრამ რძეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.900 კილოგრამისა და ამით წელს შევასრულებთ პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებულ დავალებას, მივიღებთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 50 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს.

უკვე შევუდექით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ყოველმხრივ მზად ვართ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, წესრიგში მოვიყვანეთ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. გვაქვს ყველა სახის კონდიციური თესლი, ჩაის პლანტაციებში და ციტრუსოვანთა ნარგავებში საზამთრო სამუშაოები ვადაზე ადრე დავამთავრეთ.

კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი, რომ ნაკისრ ვალდებულებას საქმედ ვაქცევთ და ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ი. სურმანიძე,
ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## პირველი შედეგები

ჩვენი დეპოს კოლექტივი — მემანქანეები, შემკეთებლები — უდიდესი სიხარულით შეხვდა ყრილობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და მზად არის მთელი თავისი ძალები მოახმაროს მათი განხორციელებისათვის ბრძოლას.

დეპოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ ჩვენი კოლექტივის თვითეულ წევრს ღრმად გავაცნოთ ყრილობის მასალები, დავრაზმოთ ისინი ახალი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მემანქანეებსა და შემკეთებლებს შორის ფართოდ იყო გაჩაღებული ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებითაც შესრულდა აღებული ვალდებულებები.

ამ დღეებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. დეპოელებმა შემდეგი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს:

წლიური დავალებები შეასრულონ ვადამდე, გეგმის გადამეტებით აწევითი შეკეთებიდან ჩქაროსნული მეთოდით გამოუშვან ექვსი ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან — 60 ორთქლმავალი, დაზოგონ სულ ცოტა 6 პროცენტი საწვავი, ორთქლმავლების გარბენა ნორმით გათვალისწინებული 70 ათასი კილომეტრის ნაცვლად აიყვანონ 130 ათას კილომეტრამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მძიმეწონოსნური რეისების გადიდებას. ვალდებულებით გათვალისწინებულია, რომ ყველა მატარებლის 80 პროცენტი მძიმეწონიანი შემადგენლობებით იქნას გადაყვანილი, შარშანდელთან შედარებით თვალსაჩინოდ — 10 პროცენტით ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 3 პროცენტით. გარდა ამისა, გადაწყვეტილია მიღწეულ იქნას ნახევარი მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით 40 ათასი მანეთის ეკონომია. განზრახული გვაქვს აგრეთვე ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ სამუშაოთა მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში გარეუბნის რაიონის სოფელ კუკეთის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს“.

აღებულ ვალდებულებათა ანგარიშში თებერვლის დავალების გადამეტებით აწევითი შეკეთებიდან უკვე გამოშვებულია ორი ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან — 13 ორთქლმავალი, შემცირდა ლოკომოტივების რემონტში დგომის დრო.

გასული თვის პირველი საწარმოო შედეგები მოწმობს, რომ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული თბილისელი დეპოელები წარმატებით გაანაღდებენ აღებულ ვალდებულებებს.

დ. კვარაცხელია,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

## შრომაში ახალი მიღწევებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი მიტინგის მოწყობის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა გარეუბნის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლმეურნეობის — მარტყოფის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს შორის. მალე კოლმეურნეობის კლუბი ხალხით გაივსო.

მიტინგი გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. სუხიტაშვილმა.

— ყოველი ჩვენგანი, — განაცხადა მან, — უდიდეს ინტერესს იჩენდა ყრილობის მუშაობისადმი, რადგან კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ. შარშან ჩვენ პირველი სერიოზული წარმატებანი მოვიპოვეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში — მოვიყვანეთ სიმინდის, ქერის და სხვა კულტურების უხვი მოსავალი, პირველად შევასრულეთ წველადობის დავალება. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად ჩვენ ახალ მიღწევებს მოვიპოვებთ საზოგადოებრივი მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. გ. ჯერანაშვილმა განაცხადა:

— პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები კოლმეურნე გლეხობას სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის აღგვაფრთოვანებს. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვდებ წელს ბრიგადისათვის მიჩენილი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ გეგმიან დავალებაზე სამი ცენტნერით მეტი ხორბალი, ორი ცენტნერით მეტი სიმინდი, ორი ტონით მეტი კარტოფილი.

სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებები იკისრეს ბრიგადირებმა ვ. სალთხუციშვილმა, თ. ძამაშვილმა, გ. ებიტაშვილმა, მეცხოველე ლ. ნავროზაშვილმა, ზოოტექნიკოსმა ბ. ჯაფარიძემ და სხვებმა.

მარტყოფელი კოლმეურნეები მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად იწონებენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და პირობას იძლევიან წელს მიიღონ გეგმით გათვალისწინებულზე ოცი პროცენტით მეტი მარცვლეული, აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის უხვი მოსავალი, თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა აიყვანონ 1.500 კილოგრამამდე, მთლიანად შეინარჩუნონ მიღებული ნამატი.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი მიტინგი გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ტრიბუნაზეა კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი ვ. სალთხუციშვილი.
ფოტო შ. გოქაძისა.

## მაღალი ხარისხისათვის

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში სკკპ XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე მოწინავე მქსოველმა რაისა გომონოვამ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ცხადყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა. ჩვენ, ფეიქრები, ენერგიას არ დავიშურებთ, რომ სათანადო წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახული მეექვსე ხუთწლედის დიადი პროგრამის განხორციელებაში. მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობის პასუხად ვალდებულებას ვიღებ ყოველთვიური გამომუშავების ნორმა შევასრულო 130 პროცენტით. მივაღწიო იმას, რომ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ პირველი ხარისხისა იყოს.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს მქსოველმა მ. ვაშალომიძემ, მრთველმა ვ. ჯოხაძემ, მკრეჭავმა ნ. ეფიმოვამ, მგრეხავმა ქ. კოზლოვამ და სხვებმა.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა მოიწონა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები და იკისრა ვადამდე შეასრულოს 1956 წლის საწარმოო გეგმა, მკვეთრად გააუმჯობესოს ტექნიკური პროცესები, აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, გამოუშვას მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის — ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვის გაგრძელება

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 51)

იმისათვის, რომ შევასრულოთ ტრანსპორტის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები, საჭიროა სერიოზულად გავაუმჯობესოთ სატრანსპორტო მშენებლობის საქმე, დავნერგოთ ინდუსტრიული მეთოდები, გავაუმჯობესოთ დაპროექტება, დავაჩქაროთ მშენებლობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები და, რაც მთავარია, გავაიაფოთ იგი.

ტრანსპორტის ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ უწინარეს ყოვლისა დიდი ეფექტი უნდა მოგვცეს მოძრაობის სიჩქარის გადიდებაში, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სიჩქარის გადიდება ამცირებს ტვირთზიდვის თვითღირებულებას, იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიას სატრანსპორტო ხარჯებში და ნაკადების ათვისებისათვის ათავისუფლებს ვაგონების, ლოკომოტივების, გემების, ავტომანქანების დამატებით რაოდენობას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რკინიგზებისა და ნავსადგურების გამტარუნარიანობას.

ტრანსპორტზე მოძრაობის სიჩქარის ზრდა ბრუნვის სფეროდან უდიდესი რაოდენობით ათავისუფლებს მატერიალურ რესურსებს, აჩქარებს საქონელბრუნვას, დროის მიხედვით აახლოებს წარმოებისა და მოხმარების რაიონებს. მაშასადამე, ეს აადვილებს მრეწველობის კოოპერირებას და უზრუნველყოფს დამატებითი პროდუქციის მიღებას ტრანსპორტირებისაგან წარმოების საშუალებათა დაჩქარებული განთავისუფლებით, მგზავრთა გადაყვანაში ათავისუფლებს დროს მშრომელთა ნაყოფიერი შრომისა და დასვენებისათვის.

### IV.

სიჩქარის და დროის ეკონომიის პრობლემას საერთოდ საერთო-სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მარქსი წერდა, რომ „დროის ეკონომიით განისაზღვრება, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომია... დროის ეკონომია, ისევე როგორც სამუშაო დროის გეგმაზომიერი განაწილება წარმოების სხვადასხვა დარგში, არის პირველი ეკონომიური კანონი კოლექტიური წარმოების საფუძველზე“ (კ. მარქსისა და ფ. ენგელსის არქივი, ტ. IV, გვ. 119).

ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დიდი ლენინის იმ ლოზუნგის განხორციელების ისტორიულ პირობებში, რომ ეკონომიურად, ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მას შემდეგ განვლილ წლებში, როცა წამოყენებულ იქნა ეს ლოზუნგი, ომის პერიოდის გარდა, როცა მთავარი ამოცანა იყო — დავწეოდით ჰიტლერს ბერლინში და დაგვესამარებინა იგი, რაც ბრწყინვალედ შეასრულა ჩვენმა სახელოვანმა არმიამ, — ჩვენ მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ დაწევისა და გასწრების ამოცანის განხორციელებაში და შევამცირეთ ჩვენი ჩამორჩენა მთავარი კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში.

დაწევისა და გასწრების ამოცანის გადაჭრა უზრუნველყოფილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო მაღალი ტემპებით კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, სოციალიზმის განვითარების კანონებით, რომლებიც განსხვავდება კაპიტალიზმის განვითარების კანონებისაგან.

სოციალისტური მეურნეობა უფრო ეკონომიურია, ვიდრე კაპიტალისტური, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მან არ იცის, თუ რა არის დანაკარგები წარმოებასა და ბრუნვაში, დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალიზმის თვით ბუნებასთან — კრიზისებთან, უმუშევრობასთან, წარმოების ანარქიასა და კონკურენციასთან.

თუმცა ჩვენში დანაკარგები ბევრია წარმოებაშიც და ბრუნვაშიც, მაგრამ ჩვენ ვიცით მათი შემცირების გზა და წარმატებით ვიბრძოლებთ მათი შემცირებისა და ლიკვიდაციისათვის. ეს გზა არის მომჭირნეობის რეჟიმი საქმიანობის ყველა სფეროში. მომჭირნეობის რეჟიმი კვლავ რჩება პარტიის, საბჭოთა აპარატის, მთელი სახალხო მეურნეობის მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად. საქმე ეხება დანახარჯების შემცირებას არასაწარმოო საქმიანობაში, მართვის ხარჯების შემცირებას, აპარატის შემცირებასა და მისი მუშაობის გაუმჯობესებას, ბრუნვისა და ტრანსპორტის დანახარჯების შემცირებას, სადაც არ იქმნება ახალი მატერიალური დოვლათი.

საქმე ეხება მნიშვნელოვან და დიდ რამეს — ცოცხალი და განივთებული შრომის ხარჯის მომჭირნეობას წარმოებაში, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტური წარმოების უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებლით, თვითღირებულების შემცირებით.

ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევით, ვიდრე კაპიტალიზმის დროს.

თანამედროვე კაპიტალიზმის ტრუბადურები ცოტას როდი ხმაურობენ ახლა მეწარმეთა და მუშათა „ინდუსტრიული ერთიანობის სულისკვეთების“ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების ლოზუნგის შესახებ. ეს ძველი სიმღერის ახალ ყაიდაზე გადამღერებაა, რადგან შრომის ნაყოფიერება კაპიტალისტებს აინტერესებს არა როგორც მთლიანად საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესების საშუალება, არამედ როგორც კაპიტალისტური ზემოგების გადიდების საშუალება.

ჩვენთვის, სოციალისტური ზანაკისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის პროდუქციის გადიდებისათვის, რომელიც ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებაა.

დიდმა ლენინმა ჯერ კიდევ 1919 წელს განაცხადა, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერებაში იგი ხედავდა სოციალიზმის გამარჯვების გადამწყვეტ შემკრებლობითს პირობას, ახალი მატერიალური ბაზის ერთობლიობას მსხვილი ინდუსტრიის სახით, მოსახლეობის მთელი მასის კულტურის ამაღლებას, დისციპლინისა და მუშაობის უნარის, შრომის უკეთესი ორგანიზაციის პირობას, **ე. ი. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ტექნიკური, ეკონომიური, ორგანიზატორული, კულტურული და პოლიტიკური მოღვაწეობის ერთობლიობას.**

ლენინის მიერ ამ ლოზუნგის გამოცხადების შემდეგ შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენ შორს წავედით წინ მის განხორციელებაში. 1913 წლიდან 1955 წლამდე შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში გაიზარდა 8-ჯერ, ხოლო სამუშაო დღის შემცირების გათვალისწინებით — 10-ჯერ.

მაგრამ ჩვენ შეგვეძლო მეტისათვის მიგვეღწია, შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება გასულ ხუთწლედში მთლიანად რომ შესრულებინა ყველა საწარმოსა და მთელ მრეწველობას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის არსებული რეზერვების რეალიზაციისათვის საჭიროა, რა თქმა უნდა, უფრო სწრაფად დავნერგოთ ახალი ტექნიკა, რაზეც ცენტრალური კომიტეტი საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას: მოიწვია სპეციალური თათბირი, მრეწველობის მუშაკთა აქტივი, ღრმად გაარჩია საკითხი ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმზე, სპეციალური წერილი დაუგზავნა პარტიულ ორგანიზაციებს.

ხუთწლედების მანძილზე დიდი მასშტაბებით წარმოებდა სახალხო მეურნეობის აღჭურვა ახალი ტექნიკით. ამან შესაძლებელი გახადა ძირითადი შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. მაგრამ დღემდე ბევრი სამრეწველო მუშა ხელით მუშაობს. ეს აიხსნება არა მარტო მექანიზმების ნაკლებობით და ახალი მანქანებისა და მექანიზმების შექმნისა და ათვისების დარგში მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მსვლელობით, არამედ იმითაც, რომ ბევრ დარგში, რომლებიც მექანიზებულად ითვლება, მექანიზაცია ნამდვილად მხოლოდ ზოგიერთ წამყვან ოპერაციას მოიცავს.

მაგალითად, განუწყვეტლივ წარმოებს ქვანახშირის შახტების აღჭურვა მანქანებითა და მექანიზმებით, პირველ რიგში კომბაინებით, მაგრამ სხვა სამუშაოებს სანგრევებში და ზედაპირზე ხელით ასრულებენ.

კომბაინს მომსახურებას უწევს 14 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა: აქედან ორი კაცი კომბაინზე მუშაობს, ხოლო 12 კაცი ხელით უწევს მომსახურებას მექანიზმებს.

შიფერის მრეწველობაში წარმოების ზედაფენა მექანიზებულია, ხოლო სამუშაოთა სამი მეოთხედი მექანიზებული არ არის.

სატყეო მრეწველობაში ტყის ჭრა მექანიზებულია. ერთი მხერხავი დღეში იმდენ ტყეს ჭრის, რომ 20 გამსხეპავს ნაჯახი უჭირავს და ხელით აჭრის ტოტებს.

მაშასადამე, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა სამუშაოთა მექანიზაციის დარგში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვაა.

შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდი ფაქტორი უნდა გახდეს წარმოების ავტომატიზაცია. ავტომატური ხაზების დანერგვამ მოსკოვის პირველ სახელმწიფო საკისრის ქარხანაში, ოპერაციების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ, პროგრესული ტექნოლოგიისა და ახალი მოწყობილობის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მეხუთე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება ქარხანაში გადიდებულიყო 60 პროცენტით, ხოლო ომამდელ დონესთან შედარებით საერთო პროდუქცია ამ ქარხანაში ერთიორად გადიდდა, მაშინ როცა მუშათა რაოდენობა 29 პროცენტით შემცირდა.

ვნერგავთ რა ავტომატურ ხაზებს და ვქმნით რა ავტომატიზებულ საწარმოებს, ჩვენ ფართო მასშტაბებით უნდა განვახორციელოთ მოქმედი საწარმოების ტექნიკური რეკონსტრუქცია და უწინარეს ყოვლისა ახალ სახეობათა მოწყობილობის დანერგვა, მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაცია და შეცვლა. ეს ფართო შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყენოთ მუშაობის ჩქაროსნული მეთოდები და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

ახალი ტექნიკის დანერგვისა და მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ამოცანა ეხება არა მარტო მრეწველობას, ტრანსპორტსა და მშენებლობას, არამედ სოფლის მეურნეობასაც.

### V.

მაგრამ რაც უნდა ძლიერი იყოს ახალი ტექნიკა, თუ ადამიანის შრომა არ იქნა, იგი მკვდარია. ხოლო წარმოების საშუალებებზე შრომის აქტიური ზემოქმედება დამოკიდებულია შრომის საზოგადოებრივ ფორმაზე. მეტ პროდუქციას იძლევა ტექნიკა თუ ნაკლებს, ეს დამოკიდებულია არა მარტო თვით ტექნიკაზე, არამედ არანაკლებად შრომის ხასიათზე — დამონებული დაქირავებული შრომაა ეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში თუ თავისუფალი შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში.

წარმოებითი ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასა და იმ ქვეყნებში, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, ქმნის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სარბიელს და თვით მშრომელთა მასების შემოქმედებითი შრომითი აქტივობის მუდმივი გაძლიერების, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების პირობებს. ლენინს შეჯიბრების მოწყობა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად მიაჩნდა.

სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირში საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა, და ჩვენი წარმატებანი მნიშვნელოვანწილად მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების შედეგია.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა, რომ, მიუხედავად ამ უდავო შედეგებისა, არის ბევრი სერიოზული ნაკლი, რომლებიც ხელს უშლიან სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას და შეუძლიათ კიდევ უფრო შეუშალონ ხელი მომავალში. მთავარი ნაკლი ის არის, რომ წარმოების მთელ რიგ დარგებში ნაკლებად ვრცელდება წარმოების ნოვატორთა — სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მოწინავე გამოცდილება.

ზოგჯერ მოჰყავთ ცნობები, რომ შრომის ინდივიდუალური ნაყოფიერების დონით ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგრამ ეს ხომ ფაქტია, რომ წარმოების ჩვენმა ნოვატორებმა მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელ რიგ დარგებში მიაღწიეს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში კიდევაც გადააჭარბეს შესაბამისი პროფესიების შრომის ნაყოფიერებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ამტკიცებს, რომ ნოვატორების გამოცდილების ფართოდ დანერგვით შეგვიძლია მალე დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შრომის ნაყოფიერების დონითაც. მაგრამ საწარმოებში და სამინისტროებშიც ხშირად ბიუროკრატიულად ეკიდებიან ნოვატორთა მეთოდების მასობრივ დანერგვას.

ქვანახშირის კომბაინების მოწინავე მემანქანეებმა ამხ. ბუშჩინსკიმ და ამხ. ველიჩკომ და მათმა ბრიგადებმა ყარაგანდის აუზში კომბაინის თვიური გამომუშავება აიყვანეს 26 ათას ტონამდე, რაც თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე მთელ ყარაგანდის აუზში, და თითქმის ხუთჯერ მეტია, ვიდრე სამინისტროს ხაზით მთლიანად. მათ ამას მიაღწიეს არა თავიანთი მეტისმეტი ფიზიკური დაძაბვით, არამედ თავიანთი კომბაინის სრულყოფით და მუშაობის პროცესის გაუმჯობესებით. ამ ბრიგადებს ერთიორად მეტი გამომუშავება აქვთ, ვიდრე კომბაინის სხვა ბრიგადებს ყარაგანდაში.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო რომ ფართოდ დანერგავდეს ამ მოწინავე მეთოდს, მაშინ ქვანახშირის მრეწველობაში ჩვენ შეგვეძლებოდა დამატებით მიგვეღო ათეულ მილიონობით ტონა ქვანახშირი წელიწადში მხოლოდ საკომბაინო ლავებიდან, ხოლო ამ მუშების შრომის ნაყოფიერება გადიდდებოდა 60 პროცენტით და მეტით.

მე შემეძლო ასეთი მაგალითები ბევრი მომეყვანა. მოვიყვან მხოლოდ კიდევ ერთ საინტერესო მაგალითს. მხედველობაში მყავს კიევის ქარხანა „წითელი ექსკავატორის“ ხარატი, პარტიის XX ყრილობის დელეგატი ამხ. სემინსკი.

ჩვენ გვყავან ჩქაროსნული ჭრის ასეთი შესანიშნავი მოწინავე წამომწყებნი, როგორიც არიან ამხ. ბიკოვი და ამხ. ბორტკევიჩი, მაგრამ ამხ. სემინსკიზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ იგი მუშაობს ჩვენში ჩვეულებრივ ფართოდ გავრცელებულ სახარატო ჩარხზე. აგერ უკვე 10 წლის განმავლობაში იგი ნორმებს 5-6-ჯერ გადაჭარბებით ასრულებს. ამას მან ძირითადად იმით მიაღწია, რომ შეამცირა დამხმარე დრო დეტალების დამუშავებისას.

ყველა ხარატისათვის მანქანის დრო ჩვეულებრივად შეადგენს 20-35 პროცენტს, ხოლო დამხმარე — 65-80 პროცენტს. ამხ. სემინსკისათვის კი, პირიქით, მანქანის დრო შეადგენს 65-70 პროცენტს, ხოლო დამხმარე — მხოლოდ 30-35 პროცენტს. ამას იგი აღწევს თავისი კონსტრუქციის მარტივი, მაგრამ შესანიშნავი სამარჯვებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებითაც ხორციელდება დეტალების დამუშავების პროცესის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ამასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ამხ. სემინსკის ხელფასიც: მისი ხელფასი 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე ხარატების საშუალო ხელფასი იმავე კიევის ქარხანაში.

ჩემთან საუბარში ამხ. სემინსკიმ თქვა, ყველა ხარატი რომ უზრუნველყონ სათანადო სწრაფმოქმედი სამარჯვებით, ინსტრუმენტით და შეუქმნან მათ გადიდებული რეჟიმებით მუშაობის პირობები, ყოველი მათგანი შეძლებდა ისე ემუშავნა, როგორც მე ვმუშაობ, და ხარატების შრომის ნაყოფიერება 2-3-ჯერ გადიდდებოდაო.

არაფრით არ შეიძლება გამართლდეს ასეთი უმოქმედობა და შესანიშნავი საქმის უგულებელყოფა უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობის სამინისტროს მხრივ. მათ კარგად იციან ეს და სხვა ნოვატორული წინადადებანი, მაგრამ მათ ხელს უშლის ინერცია, უძრაობა, ბიუროკრატიზმი, რომლებიც ჯერ კიდევ არის მთელ რიგ სამეურნეო მუშაკთა შორის.

მართალია, ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვაში სამეურნეო მუშაკებს თავიანთი სიძნელეებიც აქვთ, მაგრამ ეს სიძნელეები კარგი სამეურნეო ხელმძღვანელობის პირობებში სავსებით დასაძლევია.

საჭიროა მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვის საქმე დავაყენოთ სახელმწიფო რელსებზე, ეს კანონად უნდა გავხადოთ დიდი ლენინის იმ მითითების შესაბამისად, „რომ მაგალითის ძალა გადაიქცეს ახალ საბჭოთა რუსეთში შრომის მოწყობის პირველ რიგში მორალურ, შემდეგ კი — იძულებით შემოსაღებ ნიმუშად...“ (თხზ., ტ. 27, გვ. 234).

სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ახლანდელი ეტაპის თავისებურებანი განისაზღვრებიან სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის მნიშვნელოვანი ზრდით, მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებით და შრომის ნაყოფიერების გადიდებული დონით.

ამ ახალ პირობებში გაიზარდნენ და სხვა გახდნენ თვით წარმოების ნოვატორები. სოციალისტური შეჯიბრება ახალ, მნიშვნელოვნად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ეს მოითხოვს ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის სხვა, უფრო მაღალ დონეს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში. ამ ნაკლოვანებათაგან უმნიშვნელოვანესია:

დარღვევა ლენინური მოთხოვნებისა შეჯიბრების საჯაროობის და შედეგების შედარების უზრუნველყოფის შესახებ. შესუსტდა შეჯიბრების შედეგების პოპულარიზაცია. შემცირდა მუშების მიერ ინდივიდუალურ ვალდებულებათა აღება, რაც იწვევს კოლექტივის წინაშე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებისათვის ყოველი ცალკეული ადამიანის მორალური პასუხისმგებლობის შემცირებას.

არასაკმაო მორალური და მატერიალური წახალისება იმ შედეგებისა, რომლებიც მოპოვებულია შეჯიბრებაში. ნაკლებად იყენებენ მორალური წახალისების მრავალ ფორმას, უნდა ითქვას, რომ ნაკლებად აჯილდოებენ ორდენებითა და მედლებით მუშებს — წარმოებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის შეჯიბრების მოწინავეებს. ხშირად სწორად არ ნაწილდება ფონდები, რომლებსაც საწარმოები იღებენ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

ყოველთვის როდი ფასდება დამსახურებისამებრ იმ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ინიციატივა, რომლებმაც ბევრი შრომა დახარჯეს მოწინავე მუშების წარმატების უზრუნველსაყოფად. ეს ნაკლი განსაკუთრებით შეუწყნარებელი ხდება შეჯიბრების ახლანდელ ეტაპზე, როცა მუშათა მიღწევები ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფაში, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში პირდაპირ წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მჭიდრო თანამშრომლობა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან, თუ არ იქნა ხელმძღვანელობა მათ მხრივ.

შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, უწინარეს ყოვლისა გამოხატავს არარიტმული მუშაობა თვის განმავლობაში და სამუშაო დღის განმავლობაშიც კი, იერიშობანა თვის უკანასკნელ დეკადაში, სამუშაო დროის დიდი დანაკარგები, რაც საშუალოდ მრეწველობაში თვითეული მუშისათვის შეადგენს ერთ საათს, ხოლო ზოგჯერ საათნახევარსა და ორ საათსაც კი დღეში.

ეს ნაკლოვანებანი განსაკუთრებით შეუწყნარებელი ხდება ახლა. ჩვენმა პარტიამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საბჭოთა მუშა თავისი პარტიის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას უპასუხებს შრომის ჰეროიკის უფრო დიდი პათოსით სამშობლოს საკეთილდღეოდ და კომუნიზმის წარმატებისათვის. (ტაში).

მაგრამ იმისათვის, რომ გავანაღდოთ ეს პათოსი, საჭიროა ბოლო მოვუღოთ სამუშაო დროის იმ უდიდეს დანაკარგებს, რომლებიც ამჟამად გვაქვს. ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია მოითხოვს გადაჭრით გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სამეურნეო მუშაკების, აგრეთვე პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

სამეურნეო მუშაკები პირველ რიგში აგებენ პასუხს საწარმოს ნორმალური, რიტმული, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის. ყოველი სამეურნეო მუშაკი უნდა მუშაობდეს წარმოების არა მარტო ტექნიკასა და ორგანიზაციაზე, იგი უშუალოდ უნდა მუშაობდეს სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე, გულისხმიერად ეპყრობოდეს ადამიანებს და მათს საჭიროებებს. იგი თვითონ უნდა ეძებდეს და პოულობდეს კავშირს ადამიანებთან, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან, არ ელოდებოდეს იმას, თუ ეს ორგანიზაციები როდის დაუკავშირდებიან მას.

თვითეულმა სამეურნეო მუშაკმა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა იმუშაოს შრომის დისციპლინის დონის ამაღლებაზე და ამავე დროს ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი დისციპლინის დარღვევის მიზეზების აღმოფხვრას მუშა-მოსამსახურეებისათვის ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, შრომის დაცვით და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეურნეო მუშაკების როლი საწარმოო თათბირების მუშაობის მოწყობაში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საწარმოო თათბირების ბუნებას განსაზღვრავს ჩვენი სოციალისტური წყობილების არსი. მარტო ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იყოს წარმოების მართვაში მუშათა ფართო მასების უშუალო მონაწილეობის ასეთი ფორმა.

კარგად მოწყობილ და რეგულარულად გამართულ საწარმოო თათბირებზე ერთმანეთს ხვდებიან და უნდა ხვდებოდნენ სამეურნეო ხელმძღვანელები, პროფკავშირული და პარტიული მუშაკები, ნოვატორი მუშები და რიგითი მუშები. საწარმოო თათბირები უნდა იყვნენ იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავების უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას, ეკონომიის რეზერვების გამონახვას და მუშათა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების რესურსების გადიდებას, კერძოდ, საწარმოს იმ ფონდის გადიდებას, რომელიც განკუთვნილია მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

საწარმოო თათბირები არის და უნდა იყოს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის, შესწავლისა და დანერგვის უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

თვითეული სამეურნეო ხელმძღვანელის, პარტიული და განსაკუთრებით პროფკავშირული მუშაკების პირდაპირი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოო თათბირების მუშაობაში, ყურადღებით მოეკიდონ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წინადადებებს და განახორციელონ მიღებული წინადადებანი.

### VI.

შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფ ზრდას და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას სერიოზულად უშლიან ხელს არა მარტო ზემოთ განხილული ნაკლოვანებანი, არამედ ის სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც ხელფასისა და შრომის ნორმირების ორგანიზაციაში გვაქვს.

სწორად თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ხელფასის საკითხში არევდარევაა. ჩვენ ვცდილობთ ახლა მოვაწესრიგოთ იგი. ეს სერიოზული საქმეა. ერთ რაიონში ხელფასი წინ წახტა, მეორეში — ჩამორჩა; ერთ დარგში წინ წახტა, მეორეში — ჩამორჩა; ერთი და იმავე სამინისტროს ერთ ქარხანაში ხარატი ერთნაირად იღებს, მეორე ქარხანაში — მეორენაირად. საჭიროა დრო, ღრმა გარჩევა და, რა თქმა უნდა, სხვა ყოველივეს გარდა, მატერიალური სახსრები. მაგრამ ჩვენ ამ საქმეზე ბეჯითად უნდა ვიმუშაოთ და უწინარეს ყოვლისა აღმოვფხვრათ ყველაზე აშკარა ნაკლოვანებანი. უნდა ვემყარებოდეთ პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპს.

შრომის შედეგებით პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპი და მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ლენინმა წამოაყენა და კანონმდებლობით განამტკიცა თავის მიერ ხელმოწერილ დეკრეტებში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

მაგრამ ამჟამადაც, როცა ხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლა, პირადი მატერიალური დაინტერესება როგორც მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი სავსებით რჩება ძალაში, რადგან ამ პერიოდშიც მოქმედებს შრომის მიხედვით განაწილების კანონი.

საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონე, წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სადაც საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად მიმდინარეობს ბურჟუაზიის გამდიდრება და პროლეტარიატის გაღატაკება. ეს ძალიან კარგად და მკაფიოდ ცხადყო ამხ. ტორეზმა ნაშრომში საფრანგეთის მშრომელთა გაღატაკებაზე ახალი მონაცემების შესახებ.

სოციალისტურ საზოგადოებაში ხელფასის ორგანიზაციის საფუძვლებმა, რომლებიც ლენინმა შექმნა, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ეს საფუძვლები ძალაში რჩება ამჟამადაც, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, შეაქვს შესწორებები, და ჩვენ მოვალენი ვართ გავითვალისწინოთ ისინი.

არსებითად ჩვენ 1932 წლიდან, როდესაც განხორციელდა სატარიფო რეფორმა, არ შეგვიცვლია სატარიფო სისტემა და შედეგად ბევრი რამ მასში მოძველდა, და მისი განხორციელების კონკრეტულ ფორმებში საჭიროა მთელი რიგი არსებითი შესწორებები.

ხელფასის ორგანიზაციის ძირითადი ნაკლია ის, რომ სატარიფო სისტემა მოძველდა. განსაკუთრებით მოძველდა მეტ წილ დარგებში სატარიფო განაკვეთები, რომლებიც ხელფასის საფუძველს წარმოადგენენ. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი მრეწველობაში 1940 წლიდან 1955 წლამდე ერთიორად და მეტად გადიდდა. ამავე დროს სატარიფო განაკვეთები თითქმის არ შეცვლილა.

ამის შედეგად დიდი განსხვავება შეიქმნა მუშათა ფაქტიურად გაზრდილ ხელფასსა და სატარიფო განაკვეთებს შორის. იმისათვის, რომ გამოიყვანონ ხელფასის მიღწეული დონე, გამომუშავების ნორმას ტოვებენ დაბალ დონეზე.

სატარიფო განაკვეთი და გამომუშავების ნორმა, ამრიგად, უკვე არ წარმოადგენენ სავსებით მაორგანიზებელ საწყისს შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის საკითხებში, რადგან ხელფასის თითქმის ნახევარი მიღებულია ნორმების გადამეტებით, პრემიებით და სხვა წანამატებით. სატარიფო ცხრილი 20 წლის განმავლობაში სხვადასხვა დანაშრევების გამო შეიცავს გათანაბრების ელემენტებს.

დაბალ სატარიფო განაკვეთებსა და ფაქტიურ ხელფასს შორის არსებული განსხვავება იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ ჩვენს მრეწველობაში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული შრომის ნორმირება და სერიოზულ საინჟინრო ღონისძიებათა განხორციელება ახალ სამარჯვთა და ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებული ნორმების შესრულებას მუშების მიერ.

დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც ამჟამად არის ხელფასის მთელ ორგანიზაციაში და რომლებიც აფერხებენ შრომის ნაყოფიერების განვითარებას, იწვევენ გადაუდებელ საჭიროებას, რომ გულდასმით მოვამზადოთ და განვახორციელოთ საქმის მოწესრიგება, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ხელფასის, შრომის ნორმირების სატარიფო რეფორმა. ეს არ არის ადვილი საქმე, საჭიროა დრო, და შესაძლოა, სახსრებიც, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ის, რომ შესრულდეს ცენტრალური კომიტეტის შესანიშნავი გადაწყვეტილება მცირეხელფასიანი მუშაკების ხელფასის გადიდების შესახებ. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება მუშაკთა ამ ჯგუფების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

აგრეთვე საჭიროა, როგორც ეს აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, შევიმუშაოთ შრომის ანაზღაურების სისტემა იმ თვალსაზრისით, რომ გაძლიერდეს საამქროს საწარმოს ხელმძღვანელი შემადგენლობის მატერიალური დაინტერესება საამქროსა და საწარმოს მუშაობის შედეგებით.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის — ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვის დასასრული

ყველა საკითხი, რომლებსაც ყრილობაზე განვიხილავთ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის მომავალი განხილვა შეეხება ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ ყრილობაზე დასმულია და წყდება მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომლებსაც პირდაპირი, უშუალო, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თვითეული მშრომელისათვის.

მხედველობაში მაქვს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ყრილობაზე დასმული ისეთი საკითხები, როგორიც არის შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება, დაბალხელფასიანი მუშაკების ხელფასის გადიდება, მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის სერიოზული გაუმჯობესება, ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდება საშუალოდ დაახლოებით 30 პროცენტით, კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდება სულ ცოტა 40 პროცენტით, საბინაო მშენებლობის ერთიორად გადიდება, სოციალურ-კულტურული მშენებლობის შემდგომი გაფართოება.

ყველა ეს გადაწყვეტილება უწინარეს ყოვლისა გამოხატავს სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობას, ჩვენს გამარჯვებებს სამამულო ომში და წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში. ეს არის ნაყოფი ჩვენი პარტიის მთელი პოლიტიკისა და პრაქტიკისა, რომლის მიზანია დიდი საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ყველა მშრომელნი — კომუნიზმის მშენებელნი პარტიისა და თავიანთი მთავრობის ამ ზრუნვას უპასუხებენ შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას და კიდევ უფრო მოგვიახლოებენ კომუნიზმის გამარჯვებას. (ხანგრძლივი ტაში).

VII.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად შექმნილია ხელსაყრელი ობიექტური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ დაჩქარდეს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ტემპები. ამ შესაძლებლობათა სინამდვილედ გადაქცევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ ფაქტორს, იმას, რომ ამაღლდეს ხელმძღვანელობის დონე და კულტურა სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

განსაკუთრებით სერიოზულია როლი პროფკავშირებისა, როგორც მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციისა, რომელიც ჩვენს პარტიას აკავშირებს კლასთან. პროფკავშირები ამჟამად თავიანთ რიგებში აერთიანებენ 42 მილიონზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს.

ჩვენს პროფკავშირებს, უდავოა, აქვთ დიდი მიღწევები თავიანთ მუშაობაში და არცთუ ცოტა დამსახურება მუშათა კლასის, პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე. ისინი ბევრ მხრივ წარმოადგენენ ნიმუშს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოძმე პროფკავშირებისათვის და დამსახურებულად ასრულებენ წამყვან როლს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა პროფკავშირების მუშაობაში არ შეგვემჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრამ მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს პროფკავშირების როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს პროფკავშირების მუშაობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, აღმოიფხვრას ფორმალიზმი ამ საქმეში, უფრო ფართოდ გავრცელდეს მოწინავე მუშათა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდება და მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ახლანდელზე გაცილებით უფრო მეტი ინიციატივა, სიმტკიცე, ბრძოლისუნარიანობა უნდა გამოიჩინონ პროფკავშირებმა როგორც საწარმოებში, ისე ცენტრშიც შრომისა და ხელფასის ნორმირების დიდ ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლაში, შრომის დაცვაში.

საჭიროა პროფკავშირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ შრომის საკითხებს და მათთან უშუალოდ დაკავშირებულ წარმოების საკითხებს. ამ მხრივ პროფკავშირები დიდ როლს უნდა ასრულებდნენ საწარმოო თათბირებში, რომელთა მუშაობა უნდა გააქტიურდეს და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს.

პროფკავშირების მთელ მუშაობას, თავიდან ბოლომდე, უნდა ახასიათებდეს ის, რომ ბოლშევიკური შეურიგებლობით ეკიდებოდნენ ბიუროკრატიულ დამახინჯებებს, წარმოების მუშა-ნოვატორებისადმი, მუშებისა და ყველა მშრომელის მზარდ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი უსულგულო მოპყრობას.

პროფკავშირებმა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, კომუნისტურ მშენებლობაში თავიანთი აქტიური მონაწილეობით უნდა გაამართლონ დიდი ლენინის მიერ მოცემული განსაზღვრა; რომ პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა, სკოლა, როგორც ლენინი ამბობდა, სრულიად უჩვეულო ტიპისა, მართვა-გამგეობის, მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა. (ტაში).

შესანიშნავი გამარჯვებანი, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა შეეგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, ახალი ძალით ცხადყოფენ ჩვენი პარტიის, როგორც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების მთავარი შთამაგონებელი და მაორგანიზებელი ძალის სიდიადეს და გადამწყვეტ როლს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააუმჯობესონ პროფკავშირული ორგანოებისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების მუშაობისადმი თავიანთი ხელმძღვანელობა, ისე რომ არ ეწეოდნენ მათს მაგივრობას და არ ამცირებდნენ მათს პასუხისმგებლობას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი, ყველა მუშა და მოსამსახურე უნდა აღზარდონ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, მთელი თავიანთი ორგანიზაციული და პარტიულ-მასობრივი მუშაობა უნდა ააგონ ისე, რომ იგი კონკრეტულ გავლენას ახდენდეს კომუნისტებზე და კომუნისტების მეშვეობით მთელ უპარტიო კოლექტივზე.

წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის ღრმად დაუფლების საფუძველზე პარტორგანიზაციები უნდა მეთაურობდნენ და წარმართავდნენ მუშათა, კოლმეურნეთა, სახალხო ინტელიგენციის მზარდ შემოქმედებით აქტივობასა და ინიციატივას, რათა გაიზარდეს სოციალისტური შეჯიბრება, დაინერგოს და უკეთ იქნას გამოყენებული ახალი ტექნიკა, ნოვატორთა მეთოდები, გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, შემსუბუქდეს საბჭოთა ადამიანების შრომა და გაუმჯობესდეს მათი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

მჭიდრო და განუყრელი კავშირი მასებთან, იმის უნარი, რომ მოუსმინოს მათ, გამოარკვიოს, რა სჭირდებათ, არა მარტო ასწავლოს მასებს, არამედ მათგანაც ისწავლოს — მუდამ იყო და არის ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო. კარგი ბოლშევიკი უწინარეს ყოვლისა კარგი მასობრივი მუშაკია.

საანგარიშო პერიოდში ცენტრალური კომიტეტის მუშაობა ცხოვრებასთან, მასებთან კავშირის, მათი შემოქმედებითი ინიციატივისა და მისწრაფებების გამოხატვისა და განხორციელების უნარის მკაფიო მაგალითია.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რომლებსაც პარტიამ და მთავრობამ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის ბრძოლაში მიაღწიეს, სახელმწიფო აპარატის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მათ შორის მთავარია ის, რომ სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი კადრების ნაწილს არა აქვს საკმაო კავშირი მასებთან, ცხოვრებასთან და შეპყრობილია ბიუროკრატიზმით.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ხელმძღვანელი მუშაკები, დაწყებული სამინისტროებისა და დამთავრებული საწარმოების, კოლმეურნეობების, მტსების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებით, უფრო ხშირად მიდიოდნენ წარმოებაში, გამოდიოდნენ მუშებისა და კოლმეურნეების წინაშე, პასუხს აძლევდნენ მათთვის საინტერესო და საგულისხმო მწვავე კითხვებზე. მაშინ თვით ხელმძღვანელებიც უფრო მწვავედ დააყენებენ თავიანთი მუშაობის საკითხებს.

მე მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი, ჩემი აზრით, დიდმნიშვნელოვანი საკითხი. დიდი ნაკლოვანებებია მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვაში. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ხელმძღვანელები იღებდნენ მშრომელებს, ეცნობოდნენ მათს წერილებს, საჩივრებს, განცხადებებს, გულისხმიერად და ოპერატიულად ეხმაურებოდნენ მათ.

საბჭოთა ადამიანები მშრომელები მუდამ იყვნენ და არიან ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, გარდა ყველა მშრომელის ბედნიერებისათვის ბრძოლისა. სწორედ ამიტომ ხალხს უყვარს თავისი მშობლიური კომუნისტური პარტია, მხარს უჭერს და კვლავ დაუჭერს მას მხარს. (ხანგრძლივი ტაში).

VIII.

ის გარემოება, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში გვყავს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები, პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, ჩვენი უდიდესი მონაპოვარია და, ამავე დროს, იმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია, რომ წარმატებით გადავჭრით ამოცანებს, რომლებიც დასახული გვაქვს მეექვსე ხუთწლედში. ახლა საჭიროა კიდევ უფრო მეტი ძალით გავაჩაღოთ მუშაობა ამ კადრების თვისებრივი ზრდისათვის, მათი ტექნიკური, პოლიტიკური და ეკონომიური დონის ამაღლებისათვის.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებაში მწვავედ არის დასმული პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების, პრაქტიკისაგან თეორიის და თეორიისაგან პრაქტიკის მოწყვეტის ლიკვიდაციის საკითხი. ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების შესაბამისად, ეჭვი არ არის, თავის ნაყოფს მოგვცემს. კადრები აამაღლებენ თავიანთ თეორიულ დონეს და უფრო წარმატებით გადაჭრიან კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს. ამით მოიგებს თეორია, რომელიც გამდიდრდება ახალი გამოცდილებით, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით, მოიგებს პრაქტიკაც, რომელსაც უკეთ გააშუქებს თეორია.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გაკეთებულია მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, და ეს სავსებით ასახავს ცენტრალური კომიტეტის მუშაობას საანგარიშო პერიოდში და პარტიის მთელ ცხოვრებას.

ცნობილია, რომ ცენტრალური კომიტეტი ამ პერიოდში განიხილავდა და აყენებდა მთელ რიგ დიდ პრინციპულ და თეორიულ საკითხებს. ეს იყო საკითხები ჩვენი მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების გზების, კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის შეფასების შესახებ, საერთაშორისო პოლიტიკის და სხვა საკითხები.

პარტიის XIX ყრილობის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა გაბედულად (მხედველობაში მაქვს იდეური, პრინციპული, თეორიული გაბედულება) დააყენა საკითხი პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს არ არის ადვილი საკითხი. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი, მარქსისტულ-ლენინური, პარტიული პასუხი გასცა ამ საკითხზე. პიროვნების კულტი მავნე კულტია, იგი აკნინებს მასების, პარტიისა და მისი ხელმძღვანელი კადრების როლს.

პიროვნების კულტის მხილებას, ხალხის მასების როლის, პარტიისა და მისი ხელმძღვანელი კადრების როლის, ბელადების როლის სწორ მარქსისტულ-ლენინურ გაგებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ერთიანობის განმტკიცებისათვის. პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის ფორმირებისა და დარაზმვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა.

პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს სწორ ხელმძღვანელობას, პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების ყოველმხრივ ღრმა განხილვასა და ლენინურ გადაწყვეტას.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობა ერთიანია და მჭიდროდ დარაზმულია პარტიულ, პრინციპულ, მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე.

პარტიის ერთიანობის განმტკიცებას ხელი შეუწყო და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს შინაპარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა, რომლებიც შემუშავებულია პარტიის ათეული წლების ბრძოლით და რომლებიც შეადგენს პარტიის მთელი მოღვაწეობის საფუძველს, პარტიისა, რომელიც კომუნიზმის ძლევამოსილად მშენებელი საბჭოთა საზოგადოების მთავარი შთამაგონებელი და მაორგანიზებელი ძალაა. (ტაში).

ამხანაგებო! პარტიის XX ყრილობის თავისებურება ის არის, რომ, ეყრდნობა რა მიღწეულ წარმატებებს, მას აქვს შესაძლებლობა გაშალოს უმოკლეს ისტორიულ ვადებში სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვის შექმნის პრაქტიკული პროგრამა, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დაჩქარების პროგრამა.

ამით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მოასწავებს ახალ, უმაღლეს ეტაპს პარტიის ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გენიალური ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. XX ყრილობა პარტიის ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის ძლევამოსილ მშენებელთა ყრილობა. (მქუხარე ტაში).

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ XX ყრილობის დირექტივების პროექტი გვისახავენ იმ დიად პერსპექტივას, რომ დაჩქარდება ჩვენი ქვეყნის პროგრესი ტექნიკის, ეკონომიკის, სოციალური, კულტურული, მეცნიერული ცხოვრების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების დარგში. ეს პერსპექტივა კიდევ უფრო დიადს ხდის ჩვენს პარტიასა და ჩვენს სამშობლოს მთელი მსოფლიოს ხალხთა თვალში, კანონიერი პატრიოტული სიამაყისა და სიხარულის გრძნობებს უნერგავს თვითეულ კომუნისტს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს. (ტაში).

ამ საბჭოთა პატრიოტიზმთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რადგან ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებთან მჭიდრო ძმური თანამეგობრობით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა თანაგრძნობითა და მხარდაჭერით. (ტაში).

საანგარიშო პერიოდში ერთხელ კიდევ შემოწმდა ჩვენი პარტიის ძალა, მისი ხელმძღვანელობის ძალა. და ამ შემოწმებამ ცხადყო, რომ ხალხს ჰყავს თავისი ერთგული ერთიანი, მჭიდროდ დარაზმული ლენინური პარტია. პარტიას ჰყავს მტკიცე, მჭიდროდ დარაზმული, ბრძოლებში გამობრძმედილი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ღირსია საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიისა. (ხანგრძლივი ტაში).

ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი დიადი, თავისი ერთიანობით მტკიცე პარტია, ხოლო მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის გმირი ხალხები მიაღწევენ კომუნიზმის სრულ გამარჯვებას. (მქუხარე ტაში).

## ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ხრუშჩოვმა შეაჯამა ჩვენი პარტიის მოღვაწეობის შედეგები XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში.

მოხსენებაში მოცემულია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, გაშუქებულია კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, დასახულია ჩვენი ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, ჩვენი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გზები.

მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები ასახავენ ჩვენი პარტიის დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის აქტუალური ამოცანების გადაჭრაში, ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მე არ მჭირდება დავასახელო ის ციფრები, რომლებიც მკაფიოდ გვიჩვენებენ უკანასკნელ წლებში მიღწეულ წარმატებებს ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის დარგში, მოვიყვანო მონაცემები, რომლებიც მოწმობენ ჩვენი პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში ეს მონაცემები მოყვანილია ამომწურავი სისრულით.

საანგარიშო პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, მრეწველობის განვითარების საკითხებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის საკითხებს, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს.

საყოველთაოდ ცნობილია პარტიის ღონისძიებანი, რომლებიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ეკონომიკის აღმავლობის დარგში.

ყოველმხრივ შეისწავლა რა მრეწველობის მუშაობის დადებითი გამოცდილება და ნაკლოვანებები, ცენტრალურმა კომიტეტმა 1955 წლის ივლისის პლენუმზე შეიმუშავა და დაამტკიცა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მრეწველობის ყველა დარგში უახლესი ტექნიკის დანერგვა, წარმოების ყოველმხრივი მექანიზაცია და მისი უკეთესი ორგანიზაცია, ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების სერიოზული გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

პარტიის ღონისძიებებმა მრეწველობის შემდგომი განვითარების, ახალ, უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე მისი აყვანის დარგში კონკრეტული გამოხატულება ჰპოვეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში.

სოფლის მეურნეობაში ცენტრალურმა კომიტეტმა გამოავლინა მთელი რიგი მისი დარგების, განსაკუთრებით ისეთების, როგორიც არის მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, სერიოზული ჩამორჩენის მიზეზები და ამჟამად ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მთელი სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას.

ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ სოფლის მეურნეობაში ამ ღონისძიებათა განხორციელების პირველი დადებითი შედეგები.

პარტიისა და ხალხის საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ ის ვალდებულებანი, რომლებსაც კისრულობენ ბევრი რაიონისა და ოლქის კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების იმ პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის, რომელიც პარტიამ დასახა. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში შეიძლება გაცილებით უფრო მოკლე ვადებში შესრულდეს, ვიდრე ეს დასახულია მეექვსე ხუთწლედის შესახებ დირექტივების პროექტით, თუ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტსების მოწინავე გამოცდილებას მხარს დაუჭერს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი, ხოლო ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუწყონ ამ გამოცდილების დანერგვას ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში მშენებლობას. 1956 წელს კაპიტალური მშენებლობისათვის დაიხარჯება



160 მილიარდ მანეთზე მეტი სახელმწიფო სახსრები, ხოლო მეექვსე ხუთწლედში — 990 მილიარდი მანეთი.

ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნა გააკეთა, რომ მშენებლობის საჭირო მასშტაბისა და სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმით, თუ სამშენებლო სამუშაოებს გადავიყვანთ ინდუსტრიულ რელსებზე, ფართოდ განვახორციელებთ სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციას, განვახორციელებთ ტიპურ პროექტებს და გამოვიყენებთ მშენებლობის ყველაზე პროგრესულ მეთოდებს. თვით მშენებლების — მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მონაწილეობით გამოვლინებულ იქნა მშენებლობის გაიაფების დიდი შესაძლებლობანი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მშენებლობის საკითხების შესწავლის შედეგად შემუშავდა კონკრეტული პროგრამა სახალხო მეურნეობის ამ დარგშიც.

ამხანაგებო! ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ შეგვეძლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრად მეტი გაგვეკეთებინა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და ახლა უკვე ვიგრძნობდით ჩვენი სოციალისტური წყობილების ყველა სიკეთეს, ჩვენთვის უდიდესი ზიანი რომ არ მოეყენებინათ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოესპოთ გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყანა.

ჩვენს სამშობლოს ტანჯავდნენ და საშინლად აჩანაგებდნენ ინტერვენტები, თეთრგვარდიელები, ჰიტლერელი დამპყრობლები, ცდილობდნენ სული ამოეხადათ ჩვენთვის შიმშილით, ეკონომიური ბლოკადით. საბჭოთა ხალხი, რომელსაც ჩვენი სახელოვანი პარტია ხელმძღვანელობს და რომელმაც საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება, იძულებული იყო უსასტიკესი ბრძოლები ეწარმოებინა თავისი სიცოცხლისა და დამოუკიდებლობისათვის, ხოლო მტრების გაძევების შემდეგ მუდამ ყოფილიყო შეიარაღებული და, მაშასადამე, ბევრი სახსრები დაეხარჯა თავდაცვისათვის, რათა მოუმზადებელი არ შეხვედროდა თავდასხმას.

ყველაფერი ეს აძნელებდა და აბრკოლებდა ჩვენს ზრდას. და მხოლოდ საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ, მისმა თავდადებულმა შრომამ, ორგანიზებულობამ და შეუპოვრობამ ჩაფუშა იმპერიალისტთა ვარაუდები და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს დონეზე აიყვანა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო.

ჩვენ აგრეთვე გვესმის, რომ ჩვენი წარმატებების მასშტაბი ბევრად დამოკიდებულია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის უნარზე გამოიყენონ სოციალისტური წყობილების ყველა შესაძლებლობა და უპირატესობა.

ახლა, როცა სოციალისტური სისტემა წარმატებით მოქმედებს და საქმით დაამტკიცა თავისი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე, ჩვენი მმართველი პარტიისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შეიმუშაოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ყოველმხრივ გააუმჯობესებენ ჩვენს წყობილებას, აღმოფხვრიან ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ცალკეულ რგოლებში, წამოსწევენ ჩამორჩენილ უბნებს და ამით გააადვილებენ კომუნიზმის აშენებას.

ვფიქრობ, სწორედ ამ საზომით უნდა მივუდგეთ XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიის მოღვაწეობის შეფასებას. უნდა ითქვას, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ჩვენი ეკონომიკის შემდგომი გაუმჯობესების არსებულ შესაძლებლობათა გამოსავლინებლად, სწორად განსაზღვრა ამ შესაძლებლობათა გამოყენების ამოცანები და მთელი ძალით იბრძოდა დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ყრილობისადმი ამხ. ხრუშჩოვმა ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილა დიდი ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა კომუნისტური მშენებლობის დარგში პარტიის მიერ დასახული გეგმების წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, როგორც ჩვენი გეგმების წარმატებით შესრულების გადამწყვეტი პირობა, დაინერგოს და ათვისებულ იქნას ახალი მოწინავე ტექნიკა, აგრეთვე ყველაფერში განხორციელდეს უმკაცრესი მომჭირნეობა, ყაირათიანობა და მზრუნველი დამოკიდებულება მატერიალური ფასეულობებისადმი. ჩვენს მეურნეობაში არსებული დიდი შესაძლებლობანი მთლიანად უნდა გამოვიყენოთ.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობაში ჩვენ გადაჭრით უნდა ვთქვათ უარი, როგორც ამას ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, ფორმალურ, კაზიონურ-ბიუროკრატიულ ხელმძღვანელობის მეთოდებზე, უფრო ფართოდ დავეყრდნოთ მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა და სპეციალისტთა გამოცდილებას, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა მასებში.

ჩვენი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში, კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები, მათი გადაწყვეტის გზები და საშუალებანი, რომლებიც ამხანაგმა ხრუშჩოვმა მოიყვანა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, აღაფრთოვანებენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ აგრეთვე ყოველ საბჭოთა ადამიანს, ყველა ჩვენს მეგობარს მთელ მსოფლიოში.

ახლა მთავარი ის არის, რომ მთელი ენერგიით, შეუპოვრობითა და სიმტკიცით მოვკიდოთ ხელი კომუნისტური მშენებლობის დასახული გეგმების განხორციელებას.

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდში ცენტრალური კომიტეტი თავის მოღვაწეობაში მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს.

ჩვენ კვლავაც უნდა განვამტკიცოთ მუშაობაში კოლექტიურობის ეს ლენინური პრინციპი, რადგან მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ თავიდან ავიცილოთ შესაძლო შეცდომები და კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ პარტიის გარშემო მშრომელთა ფართო მასები.

ჩვენი პარტია სათავეში უდგას ხალხს და სარგებლობს მისი უსაზღვრო ნდობითა და მხარდაჭერით. კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, მთელი ჩვენი ხალხი ერთიანი, უძლეველი და მძლავრი ძალაა. საბჭოთა ხალხი თავისი კომუნისტური

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. ზ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვის გაგრძელება

პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც მტკიცედ ივლის კომუნიზმის მშენებლობაში ახალ გამარჯვებათა გზით. **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგებო! ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა მსოფლიოში ხდება ახალი, მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესების შექმნის ისტორიაში უმაგალითო პროცესები. საბჭოთა ხალხთან ერთად ბევრი ხალხი, რომლებიც ერთად კაცობრიობის მესამედს შეადგენენ, უკვე მტკიცედ დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას და წლითიწლობით ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს ამ გზაზე. გაიღვიძა და წელში იმართება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანი. ისინი ანგრევენ კოლონიური სისტემის, ხალხთა ამ ავადსახსენებელი საპყრობილის ძველ შენობას, ქმნიან ეროვნულ სახელმწიფოებს და აქტიურად ებმებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

განა დიდი ხანია, რაც სხვადასხვა ჯურის იმპერიალისტები სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ ჩინელ ხალხს, ჟლეტდნენ ურჩ ჩინელ პატრიოტებს. ახლა კი დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის მძლავრ დასაყრდენს აღმოსავლეთში, გვიჩვენებს უმაგალითო მასშტაბის ახალ, გაჩაღებულ სოციალისტურ მშენებლობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ასევე ცოტა ხნის წინათ კოლონიზატორები ულმობელ, უხეშ ექსპლოატაციას უწევდნენ ინდოელ ხალხს, ახშობდნენ მისი თავისუფლებისმოყვარეობის ოდნავ გამოვლინებას, ერეკებოდნენ ინდოელ ჯარისკაცებს მათთვის უცხო ომებში. ახლა ინდოეთის რესპუბლიკა ვითარდება როგორც დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო, გამოდის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დამცველად. **(ტაში).**

უცხოელთა ბატონობისა და მისი მძიმე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა მოედო აზიისა და აფრიკის ყველა ქვეყანას, იგი ვრცელდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში უცხო სახელმწიფოთა ბატონობის ეპოქა გარდუვალად მიდის დასასრულისაკენ. დადგა ჩაგრული ხალხების ეროვნული აღორძინებისა და კოლონიზატორთა უღლისაგან სრული განთავისუფლების დრო.

აზიისა და აფრიკის გაღვიძებული ხალხები აქტიურად ჩაებნენ მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამის შედეგად მშვიდობის დიადი საქმისათვის მებრძოლთა ფრონტი განუზომლად გაფართოვდა. საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებთან ერთად მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში მტკიცე ნაბიჯით მიდიან ინდოეთის, ბირმის, ავღანეთის, ინდონეზიის, ეგვიპტის, სირიისა და სხვა ქვეყნების ხალხები.

საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან ერთად გამოდიოდა და გამოდის როგორც წამყვანი ძალა ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისათვის, ყველა ადამიანის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის. **(ტაში).**

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობის უდიდესი წარმატება იმითაც აიხსნება, რომ მათ თავიანთ სიტყვებში ამ ქვეყნების მშრომელი მასების წინაშე გამოთქვეს ფიქრები, გრძნობები და მისწრაფებანი, რომლებითაც აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხები ცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა სახით აზიის ხალხებმა დაინახეს თანმიმდევრული მებრძოლები მშვიდობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის, ყველა ხალხის ნათელი მომავლისათვის. მათ დაინახეს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველი ღონისძიებით გააფართოოს მათთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა თანასწორუფლებიან საფუძველზე, ისე რომ არ მოახვიოს თავს სამხედრო ბლოკები ან რაიმე სხვა პირობები, არ ჩაერიოს მათს საშინაო საქმეებში. **(ტაში).**

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ხრუშჩოვმა, მარქსისტული ანალიზის საფუძველზე, გააკეთა დიდმნიშვნელოვანი თეორიული განზოგადებანი თანამედროვე საერთაშორისო განვითარების სამი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ: ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის, სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების შესახებ. ამ პრობლემების თეორიული დამუშავება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების შესანიშნავი მაგალითია.

ამ საკითხების სწორ მარქსისტულ-ლენინურ გადაჭრას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ საკითხებთან დაკავშირებულია დედამიწის ყველა ხალხის ბედი, ამ საკითხებზე სწორი პასუხი აიარაღებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ნათელი მომავლისათვის ყველა მებრძოლს.

ორი სხვადასხვა სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა დროებითი ტაქტიკური სვლა კი არ არის, არამედ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპია, რომელსაც ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებენ მისი შექმნის მომენტიდან.

ემყარებიან რა პრინციპულ მითითებებს ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და განვითარების თანამედროვე პირობებში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად და გაუნუხრელად ახორციელებენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

ამას დამაჯერებლად მოწმობენ თუნდაც ის საგარეოპოლიტიკური აქტები, რომლებიც განხორციელდა გასულ 1955 წელს.

ჩვენმა მთავრობამ, როგორც ცნობილია, 1955 წლის 10 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა კონკრეტული წინადადებანი შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ. ამასთან ჩვენ ვუჩვენეთ განიარაღების ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების მაგალითიც, შევამცირეთ რა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები 640 ათასი კაცით და შევამცირეთ 1956 წლის ბიუჯეტში თავდაცვის ხარჯები თითქმის 10 მილიარდი მანეთით; მოვახდინეთ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ბაზების ლიკვიდაცია პორტ-არტურსა და პორკალა-უდში.

საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა ავსტრიასთან **სახელმწიფო** ხელშეკრულების დადებაში და გამოიყვანა თავისი ჯარები ამ ქვეყნიდან. საბჭოთა მთავრობამ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადო სახელმწიფო ხელშეკრულება ურთიერთობის შესახებ, დასავლეთის სახელმწიფოთა განსახილველად შეიტანა წინადადება გერმანიიდან ოთხი სახელმწიფოს ჯარების გაყვანის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ინიციატივით აღდგენილია მეგობრული ურთიერთობა იუგოსლავიასთან, რაც დიდხანს არანორმალური იყო.

ჩვენმა ქვეყანამ ცოტა ღონისძიება როდი იხმარა, რათა უზრუნველეყო წარმატება ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირისა, რომლის შედეგად შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა.

ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის სსრ კავშირის მტკიცე ღონისძიებათა შედეგად 16 ქვეყანა მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ურთიერთნდობის დამყარების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მიზნით კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესმა ორგანოებმა ძალიან ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ განვითარებულიყო კონტაქტები სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის.

ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საპარლამენტო დელეგაციების ურთიერთგაცვლას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ გასული წლის თებერვალში მიღებულ დეკლარაციას, რომელიც მოუწოდებდა პარლამენტებს შორის კონტაქტის დამყარებისაკენ, უაღრესად კეთილმოსურნეობით გამოეხმაურნენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში უკვე იყვნენ ინდოეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იუგოსლავიის, შვეციის, ფინეთის, ავსტრიის, ბელგიის, ალბანეთის, სირიის, ლუქსემბურგის, პოლონეთის, ირანის, ბულგარეთის პარლამენტების დელეგაციები.

თავის მხრივ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციები იყვნენ ფინეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გარდა ამისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო ჯგუფი შევიდა საპარლამენტთაშორისო კავშირში, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის 40-ზე მეტ პარლამენტს.

ბევრი პარლამენტის დელეგაციების ჩამოსვლამ საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციების გამგზავრებამ საზღვარგარეთ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაში.

საბჭოთა კავშირის აქტიური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შედეგად უმჯობესდება საერთაშორისო ატმოსფერო, ხალხები უფრო თავისუფლად სუნთქავენ, განმტკიცდა სსრ კავშირისა და სოციალიზმის და დემოკრატიის მთელი ბანაკის საგარეოპოლიტიკური პოზიციები, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ყველა მებრძოლთა პოზიციები.

ჩვენ მშვიდობისათვის იმიტომ კი არ ვიბრძვით, რომ ჩვენი ქვეყანა სუსტია. საბჭოთა კავშირი მძლავრი სახელმწიფოა, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველ აგრესორს. ჩვენ ვიცავთ მშვიდობას იმიტომ, რომ ვიცით, თუ რა უდიდესი მსხვერპლი და ნგრევა მოაქვს თანამედროვე ომს.

ეს იციან აგრეთვე სამხედრო ხელმძღვანელებმა — ჩვენმა ყოფილმა მოკავშირეებმა მეორე მსოფლიო ომში. კარგი იქნება, თუ ისინი ამ თავისი ცოდნიდან გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს თავიანთ პოლიტიკაში. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. მშვიდობის მტრები, ისინი კი, სამწუხაროდ, არიან, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას მონოპოლიების გამდიდრების ინტერესებისათვის, ცდილობენ და კვლავაც შეეცდებიან გამოიწვიონ ახალი ომი. ამიტომ მშვიდობისათვის ყველა ხალხის ბრძოლა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრით სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელები, არამედ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ხალხიც.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები მოითხოვენ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას და სოციალისტური კანონიერების გაძლიერებას სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის საქმიანობაში.

კომუნისტური მშენებლობის იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც მოცემულია ამხ. ხრუშჩოვის მიერ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, მჭიდროდ დაკავშირებულია მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან, მათს კიდევ უფრო მეტ ჩაბმასთან სახელმწიფოს მართვაში, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებასთან.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 38 წლის მანძილზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოები გაიზარდნენ, გამოიწრთნენ და განმტკიცდნენ როგორც ხალხის ნამდვილი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევ პოლიტიკურ საფუძველს.

საბჭოების დიდ ძალას მოწმობს ხალხის უცვლელი აქტივობა საარჩევნო კამპანიებში და ამომრჩეველთა თითქმის მთლიანი მონაწილეობა კენჭისყრაში ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების დეპუტატთა არჩევნების დროს. ამასვე მოწმობს მილიონობით საბჭოთა ადამიანის ნებაყოფლობითი მონაწილეობა საბჭოების მრავალმხრივ საქმიანობაში.

ამ პირობებში მით უმეტეს შეუწყნარებელია ის ნაკლოვანებანი საბჭოთა მუშაობაში, რომლებიც აღნიშნული იყო საანგარიშო მოხსენებაში. ეს ნაკლოვანებანი კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდია.

ამხ. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, კერძოდ, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიებს იწვევენ კონსტიტუციით დადგენილი ვადების დარღვევით. მართლაც, შარშან ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში მოეწყო უმაღლესი საბჭოს თითო სესია ორის ნაცვლად, როგორც ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

ეს კონსტიტუციის მარტო ფორმალური დარღვევა როდია. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ამხანაგებო, რომ იქ, სადაც საბჭოების სესიას დადგენილ ვადებში არ იწვევენ, საბჭოები აუცილებლად კარგავენ ხელმძღვანელ როლს თავიანთი ანგარიშვალდებული და აღმასრულებელი ორგანოების მიმართ, რაც იწვევს, და არც შეიძლება არ იწვევდეს, საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევას. მხოლოდ სესიების რეგულარული მოწვევით შეძლებენ საბჭოები დროზე გადაჭრან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები და უზრუნველყონ დეპუტატების აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვის საქმეში. დამახასიათებელია, რომ სწორედ იქ, სადაც საბჭოები რეგულარულად არ იკრიბებიან თავიანთ სესიებზე, ფესვს იდგამს კანცელარიულ-უწყებრივი სტილი მუშაობაში, წყდება კავშირი მასებთან, ვითარდება ბიუროკრატიზმი, უარესდება მუშაობა.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოების ყურადღება უნდა მივაპყროთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ საკითხებს, სისტემატურად დავაყენოთ ეს საკითხები სესიების განსახილველად.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# საბჭოთა კავშირ-კანადის სავაჭრო ურთიერთობისათვის

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ლ. ბ. პირსონის მოსკოვში ყოფნის დროს 1955 წლის ოქტომბერში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირსა და კანადას შორის სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ. ამასთან, როგორც საბჭოთა კავშირ-კანადის 1955 წლის 12 ოქტომბრის კომუნიკეში იყო აღნიშნული, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ოტავაში გაგრძელებულიყო ამ საკითხზე მოსკოვში დაწყებული მოლაპარაკება.

ამ შეთანხმების შესაბამისად მიმდინარე წლის თებერვალში ოტავაში წარმოებდა სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც 29 თებერვალს დამთავრდა სსრ კავშირსა და კანადას შორის სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერით.

სავაჭრო შეთანხმება აწესებს ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის საერთო პრინციპებს და ითვალისწინებს, რომ მხარეები ერთმანეთს შეუქმნიან უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს ვაჭრობისა და ნაოსნობის დარგში. შეთანხმება ითვალისწინებს, კერძოდ, რომ მხარეები უმეტესი ხელშეწყობის პრინციპს დაიცავენ ექსპორტთან ან იმპორტთან დაკავშირებულ გაყიდვის ან შესყიდვის მიმართ, აგრეთვე ყველა საკითხში, რომელიც ეხება ყოველგვარი ხასიათის საბაჟო გადასახადს და გამოსაღებს, წესებსა და ფორმალობას საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მიმართ. ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარის სავაჭრო გემები და მათი ტვირთები ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის საზღვაო ნავსადგურებში შესვლის, გამოსვლისა და იქ ყოფნის დროს ისარგებლებენ უმეტესი ხელშეწყობის პირობებში მყოფი ერის რეჟიმით.

სავაჭრო შეთანხმება დადებულია სამი წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს, თუ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე დაეთანხმება ამას არაუგვიანეს სამი თვისა დათქმული სამი წლის პერიოდის დამთავრებამდე. შეთანხმებას დაამტკიცებს ორივე მხარე და სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება მოსკოვში შეთანხმების ხელმოწერიდან 90 დღის განმავლობაში. ამასთან შეთანხმება დროებით შევა ძალაში მისი ხელმოწერის დღეს.

ამავე დროს შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები კანადაში 1956 წელს შეისყიდიან 400 ათას ტონა ხორბალს საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის რაიონებისათვის. აგრეთვე დაიდო პირობა, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები კანადაში ხორბალს შეისყიდიან შემდგომ ორ წელიწადს, ამასთან ამ წლებში შესასყიდი ხორბლის რაოდენობა განისაზღვრება კანადაში საბჭოთა საქონლის გაყიდვისა და კანადის მიერ მისი შესყიდვის მოცულობის გათვალისწინებით.

სსრ კავშირისა და კანადის სავაჭრო შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა, კანადის მხრივ — ვაჭრობის მინისტრმა კ. დ. ჰაუმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბ. პირსონმა.

სსრ კავშირსა და კანადას შორის სავაჭრო შეთანხმების დადება ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნის საბჭოთა კავშირ-კანადის ვაჭრობის განვითარებისათვის ორივე ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

# ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტის დოქტორ ს. რადჰაკრიშნანის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში

ა. წ. იანვრის დამლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტს დოქტორ სარვაპალი რადჰაკრიშნანს გაუგზავნა მოწვევა ესტუმროს საბჭოთა კავშირს 1956 წლის ზაფხულში, ამასთან გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტის ჩამოსვლა სსრ კავშირში ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა დოქტორმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს მიწვევისათვის და აცნობა, რომ მოხარული იქნება ესტუმროს საბჭოთა კავშირს 1956 წლის ივნისში. (საკდესი).

# ლაიპციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობაზე

ლაიპციგი, 29 თებერვალი. (საკდესი). ლაიპციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა წელს დიდი წარმატებით მიმდინარეობს. მარტო პირველ ორ დღეს ბაზრობაზე იყო 80 ათასამდე მნახველი მსოფლიოს 50 ქვეყნიდან, აქედან 5.500 სტუმარი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკიდან. ბაზრობის თითქმის ყველა მნახველმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი, რომელსაც უდიდესი წარმატება აქვს.

წლევანდელი ბაზრობის დამახასიათებელია, რომ კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლები გაძლიერებულ ინტერესს იჩენენ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისადმი.

მუდამ ბევრი ხალხია საბჭოთა კავშირის სავაჭრო ბიუროში, სადაც უცხოეთის ფირმების წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანოების წარმომადგენლებთან სავაჭრო გარიგებათა დასადებად.

ჩინეთის სავაჭრო წარმომადგენლები პირველ ორ დღეს მოლაპარაკებას ეწეოდნენ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, შვეციისა და სხვა ფირმების წარმომადგენლებთან.

დამსახურებული წარმატება აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გამოფენილ საქონელს და პირველ რიგში პოლიგრაფიულ, საფეიქრო, სატრანსპორტო და სამწყო მანქანებს, სხვადასხვა ჩარხებსა და მოწყობილობას, ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ნაწარმს. დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან დადებულ გარიგებათა გარდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ორგანოებმა უკვე დადეს მთელი რიგი დიდი გარიგებანი ფინეთის, ირანის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და სხვ. საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პავილიონის დირექციის ცნობებით, პავილიონში გამოფენილი თითქმის ყველა მანქანა უკვე გაყიდულია. ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო პროდუქციისადმი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ბრაზილიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანი წარმატებით სარგებლობს აგრეთვე სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების პავილიონებში გამოფენილი საქონელი.

# ნერუს პასუხი სახალხო პალატაში

ლონდონი, 29 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ უპასუხა სახალხო პალატაში მიცემულ კითხვებზე ინდოეთში დალესის ვიზიტის შესახებ. მან თქვა, რომ დალესი დელს ჩავა 9 მარტს და გაემგზავრება 10 მარტს საღამოს.

ჰ. ვ. კამატჰმა (პარტია პრაჯა სოციალისტ პარტი) ჰკითხა: „მართალია თუ არა, რომ წელს ამას წინათ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მიიწვია პრემიერ-მინისტრი ჩასულიყო შეერთებულ შტატებში და რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა უარყო ეს მიწვევა, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აცნობა, რომ სურს ეწვიოს ინდოეთს?“

ნერუმ უპასუხა: „ეს იყო დიდი ხნის, შესაძლოა, ცხრა თვის წინათ, როცა შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავს საკმაოდ კარგად გრძნობდა და წინადადება მომცა ვწვეოდი შეერთებულ შტატებს. მიწვევა მივიღე. არ უარმიყვია იგი. მე განვაცხადე, რომ მეტად მოხარული ვიქნები წავიდე, მაგრამ როდისმე უფრო გვიან მომავალში.

შემდეგ მე მოვიწვიე შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჩამოსულიყო ინდოეთში. მალე ამის შემდეგ პრეზიდენტი ავად გახდა. ეს იყო მრავალი თვის წინათ და ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ბ-ნ დალესის ვიზიტთან ინდოეთში“.

## ზამთრის საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში

კიევი, 29 თებერვალი. (საქ. კორ.). დღეს კიევში [illegible] კალათბურთელ ქალთა კოლექტივების ასპარეზობა. თბილისის „დინამო“ მეორე ეტაპის უკანასკნელ მატჩში შეხვდა რიგის „სპარტაკის“ გუნდს. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 55 : 49. ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ მოიგო კაუნასის „ჟალგირისის“ გუნდს 60 : 54.

* * *

მოსკოვის ჯგუფში დამთავრდა კალათბურთელთა ზამთრის ასპარეზობის მეორე ეტაპი. მატჩების შედეგები ასეთია: სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი — ტარტუს „კალევი“ 88 : 64, „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 80 : 60, „დინამო“ (მოსკოვი) — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი 60 : 59, რიგის ოფიცერთა სახლის გუნდი — მოსკოვის „სპარტაკი“ 68 : 65, რიგის ოფიცერთა სახლის გუნდი — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი 89 : 67, მოსკოვის „სპარტაკი“ — ტარტუს „კალევი“ 86 : 81.

## სასამართლო

# მკვლელს—დახვრეტა

ღამის 2 საათია. ფანჯრებზე ფარდადაშვებულ ოთახში მაგიდასთან სამი კაცი დასხდა და რაღაცას ჩურჩულებენ. სადამური ლამპის შუქი ძლივს ანათებს მათს დაძაბულ სახეებს და ქურდულად დაცეცებულ ალკოჰოლისაგან დაწითლებულ თვალებს.

— ღირს კი? — კითხულობს ერთი.

— როგორ არა ღირს. ამ მაღაზიაში, როგორც გავიგე, საქონლის ახალი პარტია მიუღიათ, — უპასუხებს მეორე.

— დარაჯმა რომ მოგვისწროს?

— დარაჯმა? — ჩაიცინა მესამემ, — მერე იმ ბებრუხუნასი გეშინია? ნაჯახი და მისი ჯანი. ამ შუაღამისას ვინ რას გაიგებს.

მძარცველებმა ვ. ემელიანოვმა, თ. სუჩკოვმა და ე. საველიევმა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების № 11 მაღაზიას მიაშურეს. თავმომთვრალებულმა სუჩკოვმა დარაჯის მისატყუებლად მაღაზიის კიბეზე მოიკალათა. მართლაც, მოხუცმა დარაჯმა ლ. მღვდელაძემ მაღაზიის წინ ჩაკუნტული „ნასვამი“ ახალგაზრდა რომ შენიშნა, მივიდა და შინ წასვლა ურჩია.

— წადი, შვილო, ამ ცარიელ ქუჩაში რა დაგრჩენია, სახლი არა გაქვს? ვინ იცის, როგორ გადაელია გული დედაშენს...

მღვდელაძემ სიტყვის დამთავრება ველარ მოასწრო, უკნიდან წამოპარულმა ვ. ემელიანოვმა ნაჯახით გაუპო მას თავი.

მძარცველებმა მაღაზია გატეხეს, რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი გაიტაცეს და იმავე ღამეს სუჩკოვის ბინაში „საქმის“ წარმატებით დაბოლოების აღსანიშნავად პურმარილი გაშალეს. მაგრამ დამნაშავეთა ღრეობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მილიციის თანამშრომლებმა მეორე დღესვე მიაგნეს მათს კვალს და სამივე შეიპყრეს.

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ განიხილა ბოროტმოქმედების ვ. ემელიანოვის, თ. სუჩკოვისა და ე. საველიევის საქმე და მიუსაჯა: ვ. ემელიანოვს, როგორც მღვდელაძის უშუალო მკვლელს, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ხოლო თ. სუჩკოვსა და ე. საველიევს 25-25 წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა არ შეიწყნარა ვ. ემელიანოვის თხოვნა პატიების შესახებ, და განაჩენი მის მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი.

ა. ხიჭვაძე.

## სემინარი

2 მარტს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში (ლენინის ქუჩა, 35) შედგება სემინარი პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. სემინარს უხელმძღვანელებს დოცენტი გ. მანჯგალაძე.

აქვე საღამოს 7 საათზე შედგება მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა. ხელმძღვანელი — დოცენტი გ. ზარდალიშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ბერიჩა, **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები, **მარჯანიშვილის სახელობის** — უცნობი ქალი, **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია, **სომხური დრამის** — სამველი, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აჩაკუნე (აბონემენტი № 9, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თოვლის დედოფალი (10 ს. და 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ჩექმებიანი კატა (10 ს. და 2 ს.), **ფილარმონია** — მოსკოვის ესტრადის მსახიობთა კონცერტი (ფილარმონიის საზამთრო დარბაზი, 9 ს.).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, ვოროშილოვისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები** — გაცრუებული იმედები, **კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი**—ორი ოკეანის საიდუმლოება, **დიდუბე** — მისამართის ძებნა, **კოლმეურნე** — ტახირი და ზუხრა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — გაზაფხულის ჭირხლი, **კომუნარების ბაღი** — სიყვარულის ასაკი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ღამეზე ძლიერი.

## დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1956 წლის მეორე კვარტალისათვის

ცენტრალურ ჟურნალებზე ხელმოწერა მეორე კვარტალისათვის მიიღება 10 მარტამდე, ცენტრალურ გაზეთებზე 15 მარტამდე, რესპუბლიკურ გამოცემებზე 23 მარტამდე.

„სოიუზპეჩატი“

მოქალაქე **ვაზგენ იაკობის-ძე ვაზოიანმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, II ასპინძის ქ. № 8, აღძრა საქმე გარდაბანში მცხოვრებ მოქალაქე **ლუბა გიორგის ასულ ვაზოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ციცინო, გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან

**კესარია ივანეს ასულ მიქავტაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III სოფელ ნიგოითში (ლანჩხუთის რაიონი).

შვილები სერგო, სანდრო, ვასო, ტიტე, აკაკი ოჯახებით იუწყებიან

**სონია პავლეს ასულ ბახტაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III, 6 ს. ქ. წულუკიძეში, გამოსვენება ბინიდან, ძნელაძის ქ. № 2.

მეუღლე კატო, შვილი მაშო ნათესავებით იუწყებიან

**გოგი გაბრიელის-ძე გადახაბაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III სოფელ ორმეთში (მახარაძის რაიონი).

შვილი ქსენია ოჯახით იუწყება

**დარია ეგნატეს ასულ ჩაჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-III, 8 ს. ვოლოდარსკის ქ. № 7. დაკრძალვა 4-III სოფელ პირველ კოდორში (აბაშის რაიონი).

მეუღლე პავლე, შვილები ნოდარ, ცაცა, დები მარგო, ჯანიკო, ძმები სალიკო, ლევან, ვახტანგ ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**თინათინ რაფიელის ასულ ჩიხლაძე-ხეჩინაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. კამოს ქ. № 79.

შვილები ვერა, ანა, ლიდა, სონია ოჯახებით იუწყებიან

**ნინო პავლეს ასულ კედიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. პეტრიაშვილის ქ. № 23.

მოქალაქე **შალვა ხაიმის-ძე აჯიაშვილმა**, მცხოვრებმა 1 მაისის ქ. № 4, აღძრა საქმე შინდისის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **ირინე იბრაგიმის ასულ სამადოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ელეონორა, გიორგი, მეუღლე ქეთო, შვილი ლალი, და ირმა ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან ექიმ

**ჯემალ გიორგის-ძე ბარქაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 2 ს. ჯანაშიას ქ. № 9.

მეუღლე ეკატერინე, შვილები სერგო, ოთარ, ბიჭიკო, და ანა ოჯახებით იუწყებიან

**ანტონ მაქსიმეს-ძე სირაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. ჩოხელის ქ. № 7.

შვილები ნინო, ენუქი, შუქური ოჯახებით იუწყებიან

**ალათი ბერიკიას ასულ ჯოლია-ჯოჯუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III, 5 ს. ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება ბინიდან, ყაზბეგის ქ. № 15.

მეუღლე პასიკო, შვილები ვარლამ, ფაჩუ, იაკიმე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**ესტატე სტეფანეს-ძე ზარანდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III, 7 ს. ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ბინიდან, მახარაძის ქ. № 114.

დედა აგრაფინა, მეუღლე ბაბილინა, ძმა შალვა, დები ქსენია, მერი ოჯახებით იუწყებიან

**შოთა პროკოფის-ძე ნოდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III სოფელ მარანში (აბაშის რაიონი).

მეუღლე თამარ, შვილები ნოდარ, ცისანა, და გუგული, ძმები სერგო, გუჩა ოჯახებით იუწყებიან

**დავით ივლიანეს-ძე ქელბაქიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, თბილისის ქ. № 90.


უე 00150 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.